ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - **მამისა დიაკონოვი**

თანამდებობის დასახელება - საკრებულოს წევრი
ფრაქციის დასახელება - ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო''
კომისი(ებ)ის დასახელება

- საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

- საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია

არჩევის წესი - პროპორციული

საანგარიშო პერიოდი- 2024 წლის 01.01-დან 2024 წლის 30.10 მდე.

1. საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

   01.01.2024 წ.-დან 01.11.2024წ.-მდე საკრებულოს სხდომების რაოდენობა - 10
   საკრებულოს სხდომაზე დასწრება - 5

2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა 2024წ.

   - **საკრებულოს სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია**, კომისიის სხდომების რაოდენობა -2 , ესწრებოდა -1 სხდომას;

   - **საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია**, კომისიის სხდომების რაოდენობა -3 , ესწრებოდა - 3 სხდომას.

3. საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:
   1) ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ 2024 წელს, ქალაქ ახალციხეში სპორტული სკოლის ნაწილის დემონტაჟისა და მშენებლობა/რეაბილიტაციის სამუშაოების (მრავალწლიანი შესყიდვა) სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
   2) ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ(პ.ნათენაძის ქ.);
   3) ახალციხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;
   4) ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ახალციხის

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებზე უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე (მწვანე ავტობუსები);
5) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ;
6) ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 31 მაისის N32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
7) ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში ცვლილების შეტანის შესახებ;
8) „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
9) ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების *სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისათვის* უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;
10) ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მოძრაობის მარშრუტების, მარშრუტებზე მგზავრობის ტარიფისა და შეღავათების დადგენის შესახებ;

4. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 9 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 200; მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები:
1) სანიაღვრე არხების მოწესრიგება ჯაყელის ქუჩაზე;
2) გასართობი სკვერებისა და მოედნების მოწესრიგება ბაღინაშვილის, მესხეთის, ახვლედიანის ქუჩაზე;
3) ცხაურების მოწესრიგება მესხეთის ქუჩაზე;
4) წყალ-საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგების პრობლემა ზემოთჩამოთვლილ ყველა ქუჩაზე;

5. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები):

მოსახლეობასთან შეხვედრები მიმდინარეობდა სისტემატიურად, მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად ვიშუამდგომლეთ მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან და ნაწილობრივ მოგვარდა ზემოთაღნიშნული პრობლემები.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:
1) მონაწილება მივიღე სპეციალური საჭიროების მქონე პირების მცირე ბიზნესში ჩართულობის თაობაზე გამართულ ტრენინგში;
2) მონაწილეობა მივიღე შეხვედრაში, რომელიც ეხებოდა სტატისტიკის სამსახურის საკითხებს;

3) ვიყავი „მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონულ საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიის წევრი და აქტიურად მივიღე მონაწილეობა კომისიის საქმიანობაში.

შევსების თარიღი: 10.12.2024წ.

წარდგენის თარიღი: 30.10.24

ხელის მოწერა: